ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N40

2022 წლის 21 აპრილი
ქ. ამბროლაური

„ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შევიდეს ცვლილება „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 თებერვლის N25 განკარგულებაში და დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე

დანართი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების გეგმა

N	საპრივატიზებოდ გათვალისწინებული უძრავი ქონების დასახელება	ქონების ადგილმდებარეობა	ქონების მოცულობა, მიწის ნაკვეთის ფართობი $მ^2$	ქონების საწყისი საბაზრო ღირებულება (ლარი)	აუქციონის ფორმა უპირობო - პირობიანი	აუქციონის შემდგომ შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან და პერიოდულობის შესახებ
1	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფელი ნიკორწმინდა (ხარისთვალი)	42 135	1 925 625	ელექტრონული პირობიანი	აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში
2	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ. ამბროლაური მახალდიანის ქუჩის მიმდებარედ	40	4 400	ელექტრონული პირობიანი	აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში
3	არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა	სოფელი ზნაკვა	75 $მ^2$ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	3 000	ელექტრონული უპირობო	აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში
4	შავი ლითონი	სოფელი ცახი სოფელი ჭრებალო	0,25 ტონა	175	ელექტრონული უპირობო	აუქციონის დასრულებიდან 15 დღეში